საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანება №011

2021 წლის 3 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 29 ოქტომბრის №6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 29 ოქტომბრის №6 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 30/10/2019, 110060010.70.082.016006) დამტკიცებულ დებულების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ბ^{1}“ ქვეპუნქტი:

,,ბ^{1}) საქართველოს პროკურატურაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელება;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გენერალური პროკურორი **ირაკლი შოთაძე**